სატენდერო დოკუმენტაცია

სს ექსპრეს ტექნოლოჯიზ ს/კ 204542003 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **სადემონტაჟე მომსახურების** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

მოთხოვნა

#	სამუშაოს დასახელება	განზ-ბა	რაოდ
1	ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. # 106-ში არსებული შენობის ფასადზე ხარაჩოების და სამშენებლო საფასადე ბადის მოწყობა	თვე	9 ან მეტი
2	ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. # 106-ში არსებული შენობის ფასადის და შიდა სადემონტაჟო სამუშაოები და ნაგვის გატანა ს/კ - 01.13.02.004.035.01.018 ს/კ - 01.13.02.004.035.01.019 ს/კ - 01.13.02.004.035.01.012 ს/კ - 01.13.02.004.035.01.011	ცალი	1

შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი

1. **ფასადზე ხარაჩოები მოწყობა, სამშენებლო საფასადე ბადით.**

გარე და შიდა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოების წინ **მოეწყოს ფასადის ხარაჩოები, სამშენებლო საფასადე ბადით,** (შემდგომი მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის) რომელიც განკუთვნილია შენობებისა და სამშენებლო ობიექტების შესაფუთად - ეფექტური დაცავისთვის მტვრისგან, კენჭებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან.

- 1-7 ღერძამდე სიგრძე 36 მეტრი
- A – C ღერძებში (გამწვანების ჩათვლით) 20,50 მეტრი
- 7-2 ღერძამდე სიგრძე (არსებული საგენერატოროს ჩათვლით) 31 მეტრი
- სიმაღლე 10 მეტრი

ორმაგი მოაჯირით ჩარჩოვანი ხარაჩოები, სწრაფი ხარაჩოების სისტემა სამი

სტანდარტული კომპონენტით - Double Railing

პროდუქტების მახასიათებლები იხილეთ: https://shorturl.at/5U7i8

2. **ფასადზე არსებული მოსაპირკეთებელი მასალის და ფანჯრების დემონტაჟი, გაწმენდითი სამუშაოები.**

- ქვით მოპირკეთებული სადემონტაჟო ფასადი, კედლებით 288 მ²
- შელესილი ბეტონის სვეტები (კონსტრუქცია) გაიწმინდოს, ბეტონის კონსტრუქციულ ზედაპირამდე.
- სადემონტაჟო კარფანჯრების ფართი 294 მ²

3. **ინტერიერი, სადემონტაჟო სამუშაოები**

- **1 სართული 668 მ²** - დანართში მოცემულია სადემონტაჟო სქემა, რაც მთლიანობაში მოიცავს: პირველი სართულის იატაკს, მოჭიმვას (არსებულ კონსტრუქციულ ფილამდე), კიბის უჯრედს, პანდუსს, შიდა ტიხრებს, ფასადის კედლებს 7-2 / A – C ღერძებში, შეკიდულ ჭერებს და სვეტების გაწმენდას კონსტრუქციულ ზედაპირამდე.
- **2 სართული 673 მ²** - დანართში მოცემულია სადემონტაჟო სქემა, რაც მთლიანობაში მოიცავს: იატაკას, მოჭიმვას (არსებულ კონსტრუქციულ ფილამდე) შიდა ტიხრებს, ფასადის კედლებს 7-2 / A – C ღერძებში, შეკიდულ ჭერებს და სვეტების გაწმენდას კონსტრუქციულ ზედაპირამდე.
- **3 სართული, გადახურვა და მასზე არსებული ტექნიკური სათავსო 739 მ²** - გადახურვის დემონტაჟი მასზე არსებული ტექნიკური ნაგებობით ასევე 1-7 / A – C / 7-2 ღერძებზე არსებული პარაპეტი.

4. **2 სართულზე და არსებულ გადახურვაზე, 2-3 / A-B ღერძებში მოხდეს იატაკზე არსებული სინკარის ტიპის გადახურვის ფილების დემონტაჟი - აუცილებელია სადემონტაჟო სამუშაოს შეთანხმება პროექტის კონსტრუქტორთან.**
5. **ნაგვის გატანა, არსებული გამწვანების და ნარგავების მოწესრიგება - სუსტი დენების, წყალმომარაგების, კანალიზაციის სარემონტო სამუშაოებისთვის დალუქვა - დროებითი ონკანის დამონტაჟება.**
6. **სახურავზე არსებული ქსელების, სუსტი დენების დალუქვა მოხდეს სპეციალისტის მიერ (ელექტიკოსი - ქსელების IT სპეციალისთან შეთანხმებით) დამკვეთან და მეპატრონესთან შეთანხმებნით.**
7. **შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ნორმების სრული დაცვით. აუცილებელია შესაბამისი დაზღვევის ქონა მუშახელისა და მესამე პირების მიმართ.**
8. **ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების მოხდება პროექტის ავტორის და დამკვეთის მიერ რაც აისახება საბოლოოდ მიღება-ჩაბარების აქტში.**
9. **შესრულების ვადა განისაზღვროს 60 დღით.**
10. **კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის ფართში**
    - **კონდიციონერის და გარე ბლოკის ფრეონისგან დაცლა და დასაწყობება**
    - **გათბობის გვაბის დემონტაჟი და დასაწყობება**
    - **შემოსასვლელი კარის დემონტაჟი და დასაწყობება**
    - **შემოსასვლელში არსებული შუშის ტიხარის დემონტაჟი და დასაწყობება**

დასაწყობების მისამართი - ქ.თბილისი, ჩაჩავას ქ. # 2-4-6-8-10

სადემონტაჟო სამუშაოები და სხვა დეტალები დემონტაჟთან დაკავშირებით, შეთანხმდეს პროექტის არქიტექტორთან.
სადემონტაჟო გეგმარება, ფოტომასალით იხილეთ დანართში PDF სახით.

ანაზღაურება - სადემონტაჟო სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.

ხარაჩოების და ბადის იჯარა ყოველთვიურად.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;
- ✓ **დანართი N4** - ხარჯთაღრიცხვა

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 17/10/2025 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.